# Lithodur

## კრისტალიზატორი ბუნებრივი კირქვის იატაკებისთვის

- ▲ დამუშავებული ქვის საფარები იძენენ სარკისებრ ბზინვარებას
- ▲ დამუშავებული ზედაპირი მდგრადია ცვეთისადმი, არ სრიალებს, ისხლიტავს ჭუჭყს და მარტივია მოვლაში
- ▲ არ უშლის ხელს ქვის ორთქლგამტარობას
- ▲ ახასიათებს ძალიან ეკონომიური მოხმარება




### გამოყენების სფერო

გამოიყენება პოლირებული ბუნებრივი კირქვის იატაკების კრისტალიზაციისთვის, მაგალითად, კარარის მარმარილო, აშოფენის კირქვა, იურული მარმარილო და ტრავერნიტი. გრანიტზე, კვარციტზე, ქვიშაქვაზე, ფიქალზე და ხელოვნურ ქვაზე გამოყენება არაეფექტურია.

### გამოყენება

პირველი გამოყენების წინ შეამოწმეთ დასამუშავებელი მასალა პროდუქტის მიმართ გამძლეობაზე, შეუმჩნეველ ადგილას დატანებით. კრისტალიზაციამდე აუცილებელია უხეში ზედაპირების მექანიკური გზით პოლირება. შეანჯღრიეთ პროდუქტი გამოყენებამდე!

**ზედაპირების მომზადება:**
გამოყენებამდე უნდა მოხდეს ქვის ზედაპირის ღრმა წმენდა და გაშრობა.

**კრისტალიზაცია:**
გააფრქვიეთ განუზავებელი პროდუქტი დაახლოებით 1 მ2 ქვის ზედაპირზე და დაუყოვნებლივ დაამუშავეთ როტაციული მანქანით (140-800 ბრ/წთ), გამოიყენეთ Litho-პადი. თუ Litho საფენი დაიწყებს "წასმას", გადააბრუნეთ ან შეცვალეთ ახლით. ვინაიდან სიპრიალის ეფექტი დამოკიდებულია იატაკის ზედაპირის სტრუქტურაზე, შეიძლება საჭირო გახდეს 2-3-ჯერადი დამუშავება. მოხმარება: 5,0 მლ/მ².

**პოლირება:**
თანაბარი ბზინვარების მისაღებად, კრისტალიზაციის პროცესის ბოლოს ქვის მთლიანი ზედაპირი დაამუშავეთ გასაპრიალებელი საფენით (წითელი, კრემისფერი ან თეთრი).

გამფრქვევის გამოყენების შემდეგ საგულდაგულოდ გარეცხეთ წყლით საცმი.



#### მითითება

მწარმოებელი არ იღებს პასუხისმგებლობას პროდუქტის არასწორი ან არაკვალიფიციური გამოყენების შედეგად გამოწვეულ ზიანზე. მხოლოდ პროფესიონალური გამოყენებისთვის!

#### შემადგენლობა

ცვილები, ემულგატორები, ჰექსაფტოროსილიკატები, დანამატები.
pH კონცენტრატში: დაახლოებით 2

#### მარკირება

მარკირება (კონცენტრატში): საშიშია. H314 კანზე ან თვალში მოხვედრისას იწვევს ქიმიურ დამწვრობას. H412 საზიანოა წყლის ორგანიზმებისთვის გრძელვადიანი შედეგებით P280 გამოიყენება ხელთათმანები/სპეცტანსაცმელი/თვალების/სახის დამცავი საშუალებები. P305+P351+P338 თვალში მოხვედრის შემთხვევაში: ფრთხილად ჩამოიბანეთ თვალი წყლთ რამდენიმე წუთის განმავლობაში. მოიხსენით კონტაქტური ლინზები, თუ ატარებთ მათ, და თუ მარტივია ამის გაკეთება. განაგრძეთ თვალის ჩამობანა. P308+P313 ზემოქმედებაზე ეჭვის შემთხვევაში:მიმართთ ექიმს. შეიცავს: Fluorosilicic Acid / PEG-2 Oleamine (INCI)

| ნომენკლატურა | შესაფუთი ერთეული | შეფუთვის ერთეულების რაოდენობა პალეტზე |
|---|---|---|
| j210347 | 6 კოლბისებური ბოთლი x 750 მლ (ყუთი) | 64 |